



შენაბამოსების აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ნოე ქაშიბაძე

25 მაისი 2023 წელი

N30/36

ეგზ. N 1

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის 2023 წლის 8 მაისის N002695/31 გადაწყვეტილების შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტის N15/36 ანგარიშში შეტანილი ცვლილებებით

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტროს
კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების
(სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და
მატერიალური ფასეულობების გამოყენების
შესაბამისობის აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	7
	1. შესავალი	9
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტის საგანი	9
	აუდიტის მასშტაბი	9
	აუდიტის კრიტერიუმები	10
	აუდიტის მიზანი	11
	აუდიტის მეთოდოლოგია	11
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	13
	2. აუდიტის მიგნებები	14
დანართები	დანართები	31
	საკონტაქტო ინფორმაცია	37

ტერმინები და შემოკლებები

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

გამსახურდიას თეატრი – სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

თეატრი „თეთრი ტალღა“ – სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“

ანსამბლი „აფხაზეთი“ – სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“.

საგუნდო კაპელა – სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა.

კულტურის სააგენტო – სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო.

შემაჯამებელი მიმოხილვა

შრომის ანაზღაურება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) 2020-2021 წლების ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

კულტურის მუშაკთა ხელფასები

გამსახურდიას თეატრის, თეატრ „თეთრი ტალღის“, ანსამბლ „აფხაზეთისა“ და საგუნდო კაპელის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრული იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და ბევრად ნაკლები იყო საქართველოში არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა საშუალო ხელფასზე.

სპორტული მწვრთნელების შრომის ანაზღაურება

სააგენტოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყვნენ მწვრთნელები, რომელთა ნაწილი ფედერაციებში, ხოლო ნაწილი კლუბებში მოღვაწეობდა. ხელშეკრულებით დასაქმებული მწვრთნელების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 113,000 ლარი. როგორც დადგინდა, მაშინ როდესაც არსებობდა სპორტსმენთა უფასოდ წვრთნა-მომზადების შესაძლებლობა,¹ სააგენტომ ამ მომსახურებაში გადაიხადა საბიუჯეტო სახსრები. ასევე სააგენტო შრომის ანაზღაურებას უხდიდა კომერციული მიზნით შექმნილი კონკრეტული კლუბების მწვრთნელებს, მაშინ როდესაც ამ კლუბების გარდა არსებობს აფხაზეთის სახელით მოასპარევე სხვა მრავალი სპორტული კლუბი. შესაბამისად, სპორტსმენთა საწვრთნელი მომსახურების ალტერნატივების განხილვა-შეფასების არარსებობის, დასაქმებულ მწვრთნელთა შერჩევის დაუსაბუთებლობისა და არასათანადო კონტროლის შედეგად, შეიქმნა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის რისკები.

ჟურნალები „რიწა“ და „იალქანი“

კულტურის სააგენტომ გამოსცა ჟურნალი „რიწა“ და საყმაწვილო-საბავშვო ჟურნალი „იალქანი“. ჟურნალების გამოცემა შინაარსის მიხედვით წარმოადგენდა სუბსიდირების პროგრამას, თუმცა ჟურნალების გამოცემის მიზნით პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპით არ იყო შექმნილი შესაბამისი პროგრამა და მათი გამოცემის ხარჯების დაფინანსება ხორციელდებოდა სააგენტოს აპარატის პროგრამული კოდიდან. ეს უკანასკნელი შინაარსით მიეკუთვნება მართვის და რეგულირების სახის პროგრამას. გარდა ამისა, ჟურნალებისათვის არ იყო დადგენილი სარედაქციო პოლიტიკა და არ იყო დანერგილი მიმდინარე პროცესების ქმედითი კონტროლის მექანიზმები, რამაც წარმოქმნა 147,65 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

¹ მძლეოსნობისა და ფეხბურთის ფედერაციების შემთხვევები.

ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები

სააგენტოს ბალანსზე რიცხული, სამორიგეო ავტომატური სახელმძღვანელოს ბრძანებით განსაზღვრული იყო საწვავის მოხმარების წლიური ლიმიტი, თუმცა გამოვლინდა ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევები, რადგან მივლინების ფარგლებში სამსახურებრივი ავტომობილის გამოყოფის შემთხვევაში, ბრძანებაში არ იყო მითითებული მივლინებისთვის დამატებითი რაოდენობით საწვავის გამოყოფა.

არაფინანსური აქტივები

გამსახურდიას თეატრის აქტივები

2020–2021 წლებში დადგენილი წესით გამსახურდიას თეატრში ინვენტარიზაციები არ ჩატარებულა. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პირის ბრძანებებით, საინვენტარიზაციო კომისიის წევრები იყვნენ თეატრის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები; ასევე განსახურდიას თეატრის სარგებლობაში არსებული საკონცერტო დარბაზი გამოიყენებოდა ძალიან მცირე დატვირთვით და უმეტესი პერიოდი თავისუფალი იყო, ხოლო სალაროს მოსაწყობად გადმოცემული ფართი თეატრმა ვერ გამოიყენა დასახული მიზნის მისაღწევად, სარგებლობის 4 წლის განმავლობაში. შესაბამისად, უძრავი ქონების არარაციონალურად გამოყენებით თეატრმა დაკარგა შემოსავლები.

ანსამბლ „აფხაზეთის“ აქტივები

ანსამბლ „აფხაზეთის“ სარგებლობაში არსებული ფართი წარმოადგენს სავარჯიშო დარბაზს და განკუთვნილია ანსამბლის მოცეკვავეთა სარეპეტიციოდ. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე სათანადოდ არ ხორციელდებოდა დარბაზის გამოყენების კონტროლი. გარდა ამისა, ანსამბლ „აფხაზეთის“ სარეპეტიციო დარბაზში ანსამბლის პედაგოგი ამეცადინებდა ბავშვებს და ამ მომსახურებისთვის არადგენილი ბავშვების მშობლებისაგან იღებდა შესაბამის ანაზღაურებას. ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა კანონმდებლობის დარღვევით, აღნიშნულ პედაგოგს დართო ნება, რომ ანსამბლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება პირადი სამეწარმეო მიზნებისათვის გამოეყენებინა.

კულტურის სააგენტოს აქტივები

კულტურის სააგენტო სარგებლობაში არსებულ, წყნეთში მდებარე ფართის მხოლოდ ნაწილს იყენებდა თავისუფალი ჭიდაობისა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ვარჯიშებისათვის. აღნიშნული უძრავი ქონების გამოყენებაზე სააგენტოს არ აქვს დანერგილი კონტროლის კონკრეტული მექანიზმები.

სააგენტოს სარგებლობაში არსებულ, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ფართს – სარეპეტიციოდ, ინვენტარის შესანახად და საოფისედ იყენებდა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“, რომელიც ფუნქციონირებდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ამავდროულად, სააგენტო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გასცემდა შრომის ანაზღაურებას ამ ანსამბლის ხელმძღვანელსა და პედაგოგებზე, ხოლო კონტროლის მექანიზმი არ იყო დანერგილი.

სააგენტოს სარგებლობაში არსებული – თბილისში, უზნაძის ქუჩაზე მდებარე ფართი წარმოადგენდა ღონისძიებებისა და გამოფენების გასამართავად მოწყობილ არტ-გალერეას, თუმცა აუდირებულ პეროდში ის გამოიყენებოდა მხოლოდ სააგენტოს და აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტრუქტურების მიერ

უსასყიდლოდ. სააგენტოს არ განუხორციელებია შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული ფართის იჯარით გასაცემად, რის გამოც ვერ მიიღო შემოსავლები.

აგრეთვე, სააგენტოს სარგებლობაში არსებულ 8,1 ჰა მიწის ნაკვეთზე სააგენტოს დონორების დაფინანსებით უნდა აეშენებინა სპორტკომპლექსი, თუმცა სააგენტოს მიერ განსახორციელებელი მიზნის მისაღწევად შემუშავებული არ არის პროექტი და არც დაფინანსების გამცემი დონორია მოძიებული.

საკუთარი შემოსავლები

საკუთარი შემოსავლები

აუდიტის პერიოდში განათლების სამინისტროს სსიპ-ები, გარდა ბიუჯეტის დაფინანსებისა, ასევე იღებდნენ საკუთარ შემოსავლებს კონცერტების/სპექტაკლების ბილეთებისა და აბონემენტების რეალიზაციით, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების და უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული თანხებით. სსიპ-ების მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, არ იყო შემუშავებული შესაბამისი წესი. ამასთანავე, სსიპ-ების სარგებლობაში იყო უძრავი ქონება, რომელიც არ იყო დატვირთული სრულად და შესაძლებელი იყო მოსარგებლის მიერ მათი იჯარით ან სხვა კანონით დაშვებული ფორმით გაცემა. მიუხედავად ამისა, მათ აღნიშნული საბიუჯეტო რესურსი შემოსავლების მიღების მიზნით არ გამოუყენებიათ.

პროგრამული ხარჯები

პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვა

კულტურის სააგენტოს მიერ აუდიტებულ პერიოდში ხორციელდებოდა პროექტები, რომლებიც მტკიცდებოდა სააგენტოს დირექტორის ბრძანებით. მიუხედავად იმისა, რომ პროექტების სახით დაფინანსების განხორციელებას მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს და პროექტების მიზნების გათვალისწინებით აღნიშნული პროექტები წარმოდგენდა სუბსიდირების შინაარსის პროგრამებს/ქვეპროგრამებს, სააგენტოში 2021 წლის აპრილამდე არ იყო შექმნილი შესაბამისი პროგრამები/ქვეპროგრამები და პროექტების ხარჯების დაფინანსება ხორციელდება სააგენტოს აპარატის პროგრამული კოდიდან, რომელიც შინაარსით წარმოდგენს მართვის და რეგულირების სახის პროგრამას.

პროგრამების/ქვეპროგრამების ინდიკატორები

კულტურის სააგენტოს 2021 წლის ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგები ხშირ შემთხვევაში იყო ძალიან ზოგადი და არაგაზომადი; ასევე არ იყო სათანადოდ გაწერილი, მოსალოდნელი შედეგების მიღწევის შეფასების ინდიკატორები, მათ შორის, ხარისხობრივი ინდიკატორები.

პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელება

ქვეპროგრამების დაგეგმვის პროცესში პოტენციური ბენეფიციარებისა და მათი მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია შესწავლილი იყო არასათანადოდ, ასევე ვერ იქნა გათვალისწინებული ისეთი რისკები, რომლებიც ქვეპროგრამის დაგეგმვის/დამტკიცების ეტაპზეც ცნობილი უნდა ყოფილიყო პროგრამის განმახორციელებლებისთვის.

ორგანიზაციული საქმიანობა

ორგანიზაციული საქმიანობა

დებულებებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, ორგანიზაციების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული საქმიანობა მნიშვნელოვნად შეესაბამებოდა

განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა რიგი მიზნების მისაღწევად არ იყო ჩატარებული საკმარისი ღონისძიებები. გამსახურდიას თეატრისა და თეატრ „თეთრი ტალღის“ მიერ ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო მონაცემებს, რაც მიუთითებს თეატრების ხელმძღვანელობის მხრიდან მათთვის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად შესრულების მიზნით არასაკმარისი ღონისძიებების გატარებაზე; ასევე ფიქსირდება კულტურის სააგენტოსა და განათლების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მხრიდან დუბლირების შემთხვევები.

კონტროლის გარემო

კონტროლის გარემო

სსიპ-ების გარემოს შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციების კონტროლის გარემო გამოირჩეოდა ნაკლოვანებებით და მხოლოდ პრაქტიკაში დამკვიდრებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფდა შეცდომებისა და უზუსტობების ეფექტიანად თავიდან აცილებას/პრევენციას ან გამოვლენასა და გასწორებას. კონტროლის პროცედურების ფორმალური ინსტრუქციების (სახელმძღვანელო, კოდექსი, წესი) არარსებობა მიუთითებს ორგანიზაციების საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ და საჯარო რესურსების არაეფექტიანად მართვის რისკებზე.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1 კულტურის სააგენტოს

ჟურნალებისათვის („იალქანი“ და „რიწა“) დამტკიცდეს შესაბამისი სარედაქციო პოლიტიკა, სადაც გაწერილი იქნება თემატიკა, გამოსაქვეყნებელი ნაშრომების სახეობები, ნაშრომების/სტატიების შერჩევის წესი, ნაშრომებისთვის დადგენილი მოთხოვნები და კონკრეტული კრიტერიუმები; ასევე ნათლად და მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ჯგუფები და ჟურნალების გამოცემით მისაღები როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნები.

რეკომენდაცია N2 ყველა ორგანიზაციას (აუდიტის ობიექტს)

დაიგეგმოს უძრავი ქონების განკარგვა იმგვარად, რომ მოხდეს საბიუჯეტო რესურსების სრულად, ეფექტიანად გამოყენება და პოტენციური შემოსავლების მიღება. შემუშავდეს და დაინერგოს კონცერტების/სპექტაკლების გასაყიდი ბილეთების/აბონემენტებისა და ღონისძიების ერთჯერადად ჩატარების/მონაწილეობის ღირებულების განსაზღვრის წესი, სადაც გაწერილი იქნება როგორც კონკურენტების მიერ ბაზრისთვის შეთავაზებული ფასების შესწავლის მეთოდი, ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფსა თუ ორგანიზაციაზე სავარაუდო ფასების დიაპაზონი.

რეკომენდაცია N3 კულტურის სააგენტოს

განხორციელდეს პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის მოთხოვნების დაცვით დაგეგმვა და მათი შინაარსი (მათ შორის, კრიტერიუმები) დამტკიცდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციარებისთვის გამჭვირვალე და სამართლიანი გარემო. პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის განისაზღვროს სასარგებლო, შედეგზე ორიენტირებული, ნათელი, გაზომვადი, მიღწევადი და შედარებითი შეფასების ინდიკატორები, ხოლო პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში შექმნილი კომისიისათვის, შესაბამისი საქმიანობის წესით, განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები ან/და მიდგომები, რომელთა საფუძველზე კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს; დადგენილი მექანიზმების ეფექტიანად მუშაობის უზრუნველსაყოფად დაინერგოს სათანადო კონტროლი.

რეკომენდაცია N4**ყველა ორგანიზაციას (აუდიტის ობიექტს)**

განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საქმიანობის დაგეგმვა განხორციელდეს დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმით იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით გამოწვეული საქმიანობის შემზღუდველი სავარაუდო რისკები. გათვალისწინებული მოვლენების დადგომის შემთხვევაში, ორგანიზაციების მიერ განხორციელდეს წლიური გეგმის კორექტირება მიმდინარე გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანას.

მიმდინარე პროცესებში არსებული რისკების შემცირების მიზნით, შემუშავდეს ისეთი კონტროლის პოლიტიკა, პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს ეფექტიან კონტროლს და ხელს შეუწყობს საჯარო რესურსების კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, არამიზანშეწონილად ხარჯვისა და არაეფექტიანად მართვის დროულ გამოვლენასა და პრევენციას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (შემდგომ – სსიპ-ები) ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა 01.01.2020 – 31.12.2021 პერიოდი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
-)/ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
-)/ შრომის კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
-)/ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულება „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილება „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 05 აპრილის N220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 05 აპრილის N99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის N5 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომატური განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის N9 დადგენილება „მესამე პირების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის N33 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ-ების დებულებები, შინაგანაწესები და სხვა შიდა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ს) აუდიტის ობიექტის ბიზნესპროცესებზე დაკვირვება;
- ს) აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ს) აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;

-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზებისა და დოკუმენტური ანალიზი);
-)/ განხორციელებული ოპერაციების დოკუმენტური შემოწმება;
-)/ აუდიტის ობიექტის არაფინანსური აქტივების დათვალიერება;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
-)/ აღნიშნულ სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

განათლების სამინისტროს დებულების მიხედვით,² სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის, აფხაზეთის კულტურული ფასეულობების (მატერიალური და არამატერიალური ძეგლები) დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს.

სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (საბიუჯეტო დაფინანსების შესახებ იხ. ცხრილი N1):

- ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“;
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“;
- გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა;
- ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო.

ცხრილი N 1. ორგანიზაციების დაფინანსება 2020-2021 წლებში პროგრამული კოდების ჭრილში

კოდი	დასახელება	ხარჯები 2020	ხარჯები 2021
06 12	სსიპ – ქ. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	439,227.82	452,119.12
06 13	სსიპ – ქ. სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“	343,330.51	359,453.63
06 14	სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“	386,710.81	562,516.71
06 20	სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა	271,568.02	316,656.92
06 27	სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	486,805.39	640,282.09
06 27 01	სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს აპარატი		498,417.06
06 27 02	აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა		76,193.52
06 27 02 02	საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები		28,233.00
06 27 02 04	ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა		2,500.00
06 27 02 05	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა		25,870.82
06 27 02 06	„მე - აფხაზეთისთვის“		7,500.00
06 27 02 07	„საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“		12,089.70
06 27 03	სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა		65,671.51
06 27 03 01	სპორტული ღონისძიებების ინიციატივების ხელშეწყობა		42,065.11
06 27 03 02	აფხაზეთის სპორტული ტურნირები		5,232.50
06 27 03 03	წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა - დაჯილდოება		5,620.00
06 27 03 04	ევროპული არდადეგები		12,753.90
		1,927,642.55	2,331,028.47

² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის N33 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 1 და მუხლი 4, პუნქტი 3.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შრომის ანაზღაურება 2.1.1 კულტურის მუშაკთა ხელფასებთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: კულტურის შესახებ კანონის შესაბამისად,³ კულტურის მუშაკი არის ფიზიკური პირი, რომელიც კულტურის სფეროში საქმიანობს, ხოლო კულტურის მუშაკთა მინიმალური ხელფასი უნდა აღემატებოდეს საქართველოში არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა საშუალო ხელფასის ოდენობას.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის პერიოდში ორგანიზაციებში კულტურის მუშაკთა შრომის ანაზღაურების შემოწმებით და საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა საშუალო ხელფასის⁴ ოდენობასთან შედარებით გამოვლინდა, რომ სსიპ-ებში დასაქმებული მუშაკების⁵ ხელფასები ნაკლები იყო საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა საშუალო ხელფასთან მიმართებით (იხ. ცხრილი N2). კერძოდ, გამსახურდიას თეატრში დასაქმებულთა საშუალო შრომის ანაზღაურება შეადგენდა 650 ლარს, თეატრ „თეთრ ტალღაში“ – 697 ლარს, საგუნდო კაპელაში – 677 ლარს, ანსამბლ „აფხაზეთში“ 2020 წელს – 570 ლარს, ხოლო 2021 წელს – 650 ლარს.

ცხრილი N 2. ორგანიზაციების ხელფასების შედარება საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა საშუალო ხელფასთან

ორგანიზაციის დასახელება	მინიმალური ხელფასი	მაქსიმალური ხელფასი	საქსტატის მონაცემი 2020	საქსტატის მონაცემი 2021
სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	360	2,000	1,426	1,475
სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“	400	1,600	1,426	1,475
სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“ ⁶	200	2,500	1,426	1,475
სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა	450	1,400	1,426	1,475

დასკვნა

თეატრების, ანსამბლისა და კაპელას თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრული იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და ბევრად ნაკლები გახლდათ საქართველოში არსებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა საშუალო ხელფასზე, რაც მიუთითებს ორგანიზაციების ხელმძღვანელობების მხრიდან არასაკმარისი ქმედითი ღონისძიებების გატარებაზე⁷ და არასათანადო კონტროლის მექანიზმებზე.

2.1.2 სპორტული მწვრთნელების შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით,⁸ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად

³ საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“, მუხლი 5, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები და მუხლი 31, პუნქტი 4.

⁴ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები - დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით.

⁵ ძირითადად სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის გარდა, ყველა დასაქმებული გამსახურდიას თეატრში - 41, თეატრ „თეთრ ტალღაში“ - 29, საგუნდო კაპელაში - 61, ანსამბლ „აფხაზეთში“ 2020 წელს - 61 და 2021 წელს - 45 შემთხვევა.

⁶ შრომის ანაზღაურება 2020 წელს მერყეობდა 200-დან 1,500 ლარამდე, ხოლო 2021 წელს - 500-დან 2500 ლარამდე.

⁷ ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მიეღოთ საკუთარი შემოსავლები როგორც საკუთარი საქმიანობით, ასევე უძრავი ქონების იჯარით, თუმცა მათ 2020-2021 წლებში არ მიუღიათ არსებითი შემოსავლები.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „უ“ ქვეპუნქტი და მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

გამოყენება. ეკონომიურობა არის რესურსების ღირებულების მინიმუმამდე შემცირება მისაღები ხარისხის პირობებში.

ფაქტობრივი გარემოება: აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, აფხაზეთის სახელით საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის და ოლიმპიური თამაშებისთვის კანდიდატების მომზადების მიზნით, კულტურის სააგენტოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში⁹ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყვნენ მწვრთნელები,¹⁰ რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯგუფების შექმნას, სადაც აფხაზეთიდან დევნილები უსასყიდლოდ გადიოდნენ წვრთნა-ვარჯიშს. ორი წლის განმავლობაში ხელშეკრულებით დასაქმებული მწვრთნელების¹¹ ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 113,000 ლარი. როგორც აუდიტორული პროცედურებით დადგინდა: მაგალითად, ა) მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით, ფედერაციაში ვარჯიში უფასოა; ბ) სააგენტომ წარმოადგინა მის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გაფორმებული მემორანდუმი (მუხლი 2, პუნქტი 2.1.3), რომელშიც დაფიქსირებულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ახალგაზრდა სპორტსმენთა დაახლოვების, წვრთნა-ვარჯიშის, სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობებისა და ექსკურსიების, შთამბეჭდავი შეკრება/დასვენების მოწყობა. ეს მემორანდუმი არ წარმოშობს რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად, შესაძლებელი იყო სპორტსმენთა უფასოდ მომზადება-ვარჯიში.

ამავდროულად, სპორტული კლუბების შემთხვევაში, ვერ დგინდება რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღო სააგენტომ გადაწყვეტილება, კომერციული მიზნით შექმნილი კლუბების მწვრთნელებისათვის გადაეხადა შრომის ანაზღაურება, მაშინ როდესაც ამ კლუბების გარდა არსებობს აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სხვა მრავალი სპორტული კლუბი. ამასთანავე, სააგენტოს მიერ დოკუმენტურად ვერ დასტურდება მწვრთნელთა მიერ ვარჯიშების ჩატარების კონტროლის პროცედურები.

დასკვნა

სააგენტოს მიერ სპორტსმენთა საწვრთნელი მომსახურების ალტერნატივების განხილვა-შეფასების არარსებობის, დასაქმებულ მწვრთნელთა შერჩევის დაუსაბუთებლობისა და არასათანადო კონტროლის შედეგად, იქმნება საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკები.

2.1.3 ჟურნალების

– „რიწასთან“ და „იალქანთან“
დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით,¹² ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. ეფექტიანობა არის დაგეგმილი შედეგებისა და დასახული მიზნების

⁹ თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, კალათბურთი, ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა.

¹⁰ აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ აღნიშნულ მწვრთნელთა უმრავლესობა იყო ამ სახეობის საქართველოს ფედერაციების თავმჯდომარის მოადგილე ან/და მწვრთნელი, სპორტული კლუბის თავმჯდომარე, დირექტორი ან/და საბჭოს წევრი.

¹¹ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მწვრთნელი, ჭიდაობის სპორტული კლუბის - შპს „ცხუმის“ დირექტორი, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის მწვრთნელი, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საკალათბურთო კლუბი „სოხუმის შტორმის“ გამგეობის თავმჯდომარე, საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ დირექტორი, საკალათბურთო კლუბის (სკ) „სოხუმი-2020“-ის საბჭოს წევრი.

¹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „ფ“ ქვეპუნქტი და მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

მიღწევის შეფასება, რაც გულისხმობს მიღწეული მიზნებისა და შედეგების განხორციელებულ ღონისძიებებთან კავშირს.

ფაქტობრივი გარემოება: კულტურის სააგენტომ 2020-2021 წლებში გამოსცა 1,800 ეგზემპლარი ჟურნალი „რიწა“¹³ და 1,500 ეგზემპლარი საყმაწვილო-საბავშვო ჟურნალი „იალქანი“.¹⁴ დამტკიცებული პროექტებით¹⁵ ჟურნალების მიზანი იყო წვლილი შეეტანათ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საქმეში.¹⁶ ამის გათვალისწინებით, ჟურნალების გამოცემა წარმოადგენდა სუბსიდირების შინაარსის პროგრამას, თუმცა ჟურნალების გამოცემის მიზნით პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპით არ იყო შედგენილი შესაბამისი პროგრამა და მათი გამოცემის ხარჯების დაფინანსება ხორციელდებოდა კულტურის სააგენტოს აპარატის პროგრამული კოდიდან, რომელიც შინაარსით წარმოადგენდა მართვის და რეგულირების სახის პროგრამას. შესაბამისად, ჟურნალების გამოცემის ხარჯები კულტურის სააგენტოს აპარატის მუხლიდან გაწეულ იქნა მოქმედი მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამოდ.¹⁷

პოპულარიზაციისა და საზოგადოებაში გავრცელების მიზნით გამოცემული ჟურნალების გადაცემა ხდებოდა უსასყიდლოდ.¹⁸ ჟურნალების გამოცემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით გამოვლინდა, რომ ჟურნალებისათვის არ იყო დადგენილი სარედაქციო პოლიტიკა,¹⁹ ნათლად და მკაფიოდ არ განსაზღვრულა ის საკითხები, რას უნდა მომსახურებოდა ჟურნალების წარმოება/გამოცემა, ვის და როგორ უნდა მიეღო გამოსაქვეყნებელი ნაშრომების შესახებ გადაწყვეტილება, ვინ უნდა ყოფილიყო ჟურნალის სამიზნე ჯგუფი ან რა შედეგი უნდა მოეტანა ჟურნალის გამოცემას და მის უსასყიდლოდ გადაცემას საზოგადოების გარკვეული სფეროს წარმომადგენლებისთვის.

ჟურნალების გამოცემისთვის გაწეული ხარჯების შემოწმებით გამოვლინდა, რომ სარედაქციო კოლეგიის შრომის ანაზღაურების, ჟურნალის ბეჭდვისა და მისი პრეზენტაციების გათვალისწინებით, ჟურნალ „რიწის“ გამოცემაზე დაიხარჯა ჯამში – 81,265 ლარი, ხოლო ჟურნალ „იალქნის“ გამოცემაზე – 66,385 ლარი, მაშინ როდესაც ორივე ჟურნალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა ჯამში შეადგინა – 1,311 ლარი, ხოლო უსასყიდლოდ გაცემული ჟურნალების თვითღირებულებამ – 103,233.60 ლარი.²⁰ მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალების გამოცემის ერთ-ერთი მიზანი იყო მისი რეალიზაცია და ასევე პოპულარიზაცია საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებში, ამ მიზნის მისაღწევად სააგენტოს არ განუხორციელებია საკმარისი ქმედითუნარიანი ღონისძიებები.²¹

¹³ დაარსდა სოხუმში 1968 წელს.

¹⁴ დაარსდა თბილისში 1997 წელს.

¹⁵ დამტკიცებული იყო სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებით, თუმცა თავად პროგრამა არ იყო გაწერილი და ხარჯები გაიცემოდა კულტურის სააგენტოს აპარატის მუხლიდან.

¹⁶ ფართო საზოგადოებისთვის გაეცნოთ დევნილი საზოგადო მოღვაწეებისა და შემოქმედებითი ადამიანების ნამუშევრები, კულტურული სიახლეები და დევნილებისთვის პრობლემური საკითხები.

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N3, პუნქტი 2.5.1.

¹⁸ როგორც თითოეული ნომრის პრეზენტაციებზე მოწვეულ სტუმრებზე, ისე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებზე, ასევე კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანებზე, ავტორებსა და დევნილ მოსახლეობაზე.

¹⁹ სადაც გაწერილი იქნებოდა ჟურნალის თემატიკა, გამოსაქვეყნებელი ნაშრომების სახეობები, ნაშრომების/სტატიების შერჩევის წესი და ნაშრომებისთვის დადგენილი მოთხოვნები, კონკრეტული კრიტერიუმები.

²⁰ ჟურნალი „რიწა“ – 54,683.54 ლარი და ჟურნალი „იალქანი“ – 48,550.06 ლარი.

²¹ რათა უფრო ამაღლებულიყო როგორც ჟურნალების, ასევე დაბეჭდილი ნაშრომების/სტატიების ავტორების ცნობადობა და ჟურნალებისადმი ინტერესი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მხრიდან. ნაცვლად რეალიზაციის საკითხებზე მუშაობისა, სააგენტოს მიერ ჟურნალები უმეტესწილად უსასყიდლოდ რიცდებოდა, ძირითადად, დევნილი საზოგადოების ვიწრო წრეებში და აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურებში.

დასკვნა

ჟურნალების მიზნებისა და მისაღები შედეგების განუსაზღვრელობის პირობებში, ვერ ხერხდება ჟურნალების გამოცემის პროექტების ეფექტიანობის შეფასება და, შესაბამისად, ფიქსირდება ამ მიზნით გაწეული საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები. ამავდროულად, არ არის დანერგილი მიმდინარე პროცესების ქმედითი კონტროლის მექანიზმები.

რეკომენდაცია N1
კულტურის სააგენტოს

ჟურნალებისათვის („იალქანი“ და „რიწა“) დამტკიცდეს შესაბამისი სარედაქციო პოლიტიკა, სადაც გაწერილი იქნება თემატიკა, გამოსაქვეყნებელი ნაშრომების სახეობები, ნაშრომების/სტატიების შერჩევის წესი, ნაშრომებისთვის დადგენილი მოთხოვნები და კონკრეტული კრიტერიუმები; ასევე ნათლად და მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ჯგუფები და ჟურნალების გამოცემით მისაღები როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული მიზნები.

2.2 ადმინისტრაციული
ხარჯების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,²² სამსახურებრივი ავტომანქანების საწვავის ხარჯვის ლიმიტი განისაზღვრება ყოველწლიურად, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო სამორიგო ავტომობილით მიზნობრივი ექსპლუატაციის უზრუნველყოფისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა.

ფაქტობრივი გარემოება: კულტურის სააგენტოს ბალანსზე რიცხული, სამორიგო ავტომანქანისათვის ხელმძღვანელის ბრძანებით²³ განსაზღვრული იყო საწვავის მოხმარების წლიური ლიმიტი (6,000 ლიტრი), თუმცა დადგენილი ლიმიტის პირობებში 2021 წელს გამოვლინდა ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევები, ჯამში – 347 ლიტრი, ანუ ავტომანქანის საწვავისათვის გაიხარჯა დადგენილზე 938 ლარით მეტი. მოწოდებული ინფორმაციით, საწვავის გადაჭარბება გამოწვეული იყო რეგიონებში განხორციელებული მივლინებებით, რომელთა შესახებ ხელმძღვანელის მიერ გამოცემულ ბრძანებაში აღნიშნებოდა, რომ მივლინების ფარგლებში გამოყოფილი უნდა ყოფილიყო სამსახურებრივი ავტომობილი, თუმცა აღნიშნულ ბრძანებებში არ არის აღნიშნული მივლინებისთვის დამატებითი საწვავის გამოყოფის შესახებ, რაც მიუთითებს, სააგენტოს მიერ საწვავის ხარჯვის კონტროლის ნაკლოვანებაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტოს სამსახურებრივ ავტომანქანაში საწვავის ფაქტობრივად ჩასხმისა და მისი მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალის მონაცემების შესწავლით დადგინდა, რომ ავტომანქანის სამსახურებრივი ოფისიდან გაყვანის ან/და შემოყვანის შესახებ ჟურნალში აღნიშნული მონაცემები არ შეესაბამება საწვავის ჩასხმების ფაქტობრივ მონაცემებს.²⁴

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ სამსახურებრივი ავტომობილის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი იწარმოება ფორმალურად და ავტომანქანების

²² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესი“, მუხლი 4, პუნქტი 2 და მუხლი 6, პუნქტი 1.

²³ სსიპ - კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის N120/მ ბრძანება „სამორიგო ავტომანქანაზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დამტკიცების შესახებ“.

²⁴ ჟურნალის მონაცემით, ავტომობილი სააგენტოდან გაყვანილია უფრო გვიან ან შემოყვანილია გაცილებით ადრე, ვიდრე ფიქსირდება საწვავის ფაქტობრივი ჩასხმა. ასევე არის შემთხვევები, როდესაც სამსახურებრივ მანქანაში ფიქსირდება საწვავის ჩასხმები, თუმცა ჟურნალში არ არის მითითებული ინფორმაცია ამ პერიოდში ავტომობილის მოძრაობის შესახებ.

მომრავლობაზე კონტროლის მექანიზმები არ არსებობს, რაც წარმოშობს საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი/არამართლზომიერი ხარჯვის რისკებს.

2.3 არაფინანსური აქტივები

2.3.1 გამსახურდიას თეატრის აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ინვენტარიზაციის წესით,²⁵ ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად. სავალდებულო ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე, ხოლო გადაულახავი ძალის მოქმედების, მათ შორის: სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, მძიმე კლიმატური პირობების და სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად, რომელთა წინასწარი განჭვრეტაც ორგანიზაციისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო, ორგანიზაცია დროებით თავისუფლდება სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულებისაგან იმ ვადით, სანამ შეუძლებელია ამ წესით ინვენტარიზაციის ჩატარება. ასევე: საინვენტარიზაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, ხოლო საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე – ბუღალტერი ან მოვალეობის შემსრულებელი.

ქონების შესახებ კანონით,²⁶ ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონებას სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, აუქციონის საფუძველზე, ქონების მმართველის თანხმობით, გადასცემს ის სახელმწიფო ორგანო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო, მუნიციპალიტეტი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეს ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული ან ბალანსზე ერიცხება. თუ სახელმწიფო ქონება არ არის სარგებლობაში გადაცემული, მას ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სარგებლობაში გადასცემს ქონების მმართველი, დადგენილი წესით.

ფაქტობრივი გარემოება: 2020 და 2021 წლებში გამსახურდიას თეატრში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ დაიწერა ინვენტარიზაციის ჩატარების ბრძანებები, ფაქტობრივად არც ერთხელ არ შესრულებულა ბრძანება და არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია. ასევე გამოვლინდა, რომ საინვენტარიზაციო კომისიის წევრები იყვნენ თეატრის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რითაც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. ასევე აქტივების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ აქტივებისათვის არ არის გახსნილი საინვენტარო ბარათები და მათ არ აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომრები. ასევე თეატრის აქტივების ნაწილი განლაგებულია სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ფართზე. აღნიშნული ხარვეზები წარმოქმნის არაფინანსური აქტივების არამართლზომიერი განკარგვისა და არასათანადო კონტროლის რისკებს.

გამსახურდიას თეატრის სარგებლობაში არსებულ საკონცერტო დარბაზში²⁷ 2020 წელს არ ჩატარებულა არცერთი ღონისძიება ან/და სპექტაკლი, ხოლო 2021 წელს ჩატარდა მხოლოდ 4 სპექტაკლი. ამავდროულად, აფხაზეთის ა/რ სხვადასხვა სტრუქტურის მიერ, დარბაზი უსასყიდლოდ იქნა გამოყენებული 18 ღონისძიებისთვის. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში დარბაზის გამოყენება ხდებოდა ძალიან მცირე, ხოლო აუდირებული ორი წლის უმეტესი

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება N605 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, მუხლი 2, პირველი და მე-3 პუნქტები და მე-3 მუხლი, მე-10 პუნქტი.

²⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 36, პირველი და 1¹ პუნქტები.

²⁷ ქ.თბილისში, დ. უზნაძის N68-ში მდებარე 634.81 კვ.მ.

პერიოდი იგი თავისუფალი და გამოუყენებელი იყო. ვინაიდან თეატრს ჰქონდა უფლება აღნიშნული დარბაზი გაეცა იჯარით და მიეღო შესაბამისი შემოსავლები, რაც მას არ განუხორციელებია, დაფიქსირდა უძრავი ქონების არარაციონალურად გამოყენება, რის გამოც თეატრმა დაკარგა პოტენციური შემოსავლები.

გამსახურდიას თეატრის სარგებლობაში არსებული ფართი²⁸ თეატრს გადაეცა 2019 წლის იანვარში, ბილეთების სალაროს მოწყობის მიზნით, თუმცა თეატრის მიერ ფართის 4-წლიანი სარგებლობის განმავლობაში, გაკეთდა მხოლოდ პროექტის რენდერები, ხოლო პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხები ამ დრომდე არ არის მოძიებული და, შესაბამისად, მიზანი არ არის მიღწეული.

დასკვნა

ვინაიდან გამსახურდიას თეატრის მიერ ვერ იქნა ათვისებული ფართები და შესაბამისად, ვერ იქნა მიღწეული განსაზღვრული მიზანი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გამოიყენებოდა არარაციონალურად და არაეფექტიანად.

2.3.2 ანსამბლ „აფხაზეთის“ აქტივების მართვაში არსებული დარღვევები

კრიტერიუმი: ქონების შესახებ კანონით,²⁹ ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო ქონებას სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, აუქციონის საფუძველზე, ქონების მმართველის თანხმობით, გადასცემს ის სახელმწიფო ორგანო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო, მუნიციპალიტეტი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ეს ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული ან ბალანსზე ერიცხება. თუ სახელმწიფო ქონება არ არის სარგებლობაში გადაცემული, მას ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს სარგებლობაში გადასცემს ქონების მმართველი დადგენილი წესით, ხოლო სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან, სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით,³⁰ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა იწერება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება; აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან.

ანსამბლის დებულებით,³¹ ანსამბლს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანხმობით, შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა: უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და

²⁸ ქ. თბილისში, დ. უზნაძის N68-ში მდებარე 21,06 კვ.მ.

²⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, მუხლი 36, პირველი, 1^ა და 1^ბ პუნქტები.

³⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პირველი პუნქტი, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

³¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 11 მარტის N12 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „აფხაზეთის“ დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 5, „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

ვალდებულებებით დატვირთვა; სხვა გადაწყვეტილებათა მიღება ანსამბლის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

ფაქტობრივი გარემოება: ანსამბლ „აფხაზეთის“ სარგებლობაში არსებული ფართი³² წარმოადგენს სავარჯიშო დარბაზს და განკუთვნილია ანსამბლის მოცეკვავეთა სარეპეტიციოდ. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი მხოლოდ დღის 18:00 საათამდე ახორციელებდა ზედამხედველობას, ხოლო შემდეგ, დარბაზის გამოყენების კონტროლი ფაქტობრივად არ ხდებოდა. სარეპეტიციო დარბაზის გასაღები, გარდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირისა, ასევე აქვს სამხატვრო ხელმძღვანელს და მსოფლიო ხალხთა ცეკვის პედაგოგს, რომელიც ანსამბლის შტატში ირიცხება და მისი მოვალეობაა ანსამბლის მოცეკვავეთა მეცადინეობა. ამავდროულად, ანსამბლთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით იგივე პიროვნება ასევე არის ანსამბლ „ოტობაიას“ პედაგოგი და მისი მოვალეობაა მოსწავლეების (24 დევნილი ბავშვი) მეცადინეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ანსამბლი „ოტობაია“ სამართლებრივად არ არსებობს, შესაბამისად, ფორმალურად ვერ დგინდება ამ სახელწოდებით ანსამბლის საქმიანობა.

როგორც აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, ანსამბლ „აფხაზეთის“ სარეპეტიციო დარბაზში ანსამბლის პედაგოგი ამეცადინებდა ბავშვებს (როგორც დევნილ, ასევე არადევნილ) და ამ მომსახურებისთვის არადევნილი ბავშვების მშობლებისაგან იღებდა შესაბამის ანაზღაურებას, რომელიც ირიცხებოდა პედაგოგის, როგორც მიკრომეწარმის ანგარიშზე. როგორც გაირკვა, ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, წერილობითი შეთანხმების³³ საფუძველზე, კანონმდებლობის დარღვევით,³⁴ ნება დართო აღნიშნულ პედაგოგს ანსამბლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირადი სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენებაზე. აღნიშნული შეთანხმების არამართლზომიერად გაფორმებაზე მიაჩნებოდა ის ფაქტებიც, რომ ამ დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება ანსამბლის საქმისწარმოების რეესტრებში და ასევე არც მაკონტროლებელი ორგანოსგან იყო მიღებული თანხმობა.

ამრიგად, ზემოაღნიშნული პედაგოგი, გარდა იმისა, რომ ანსამბლ „აფხაზეთში“ იღებდა როგორც თანამდებობრივ სარგოს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანაზღაურებას და პრემიას, ასევე ანსამბლის ბალანსზე რიცხულ ფართზე, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას, ეწეოდა რა კომერციულ საქმიანობას, კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით,³⁵ არ იხდიდა საიჯარო ქირის გადასახადს.

დასკვნა

უძრავი ქონების გამოყენების შესახებ ანსამბლ „აფხაზეთის“ ხელმძღვანელობის მიერ მიღებული კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებებისა და არასათანადო კონტროლის პირობებში, ანსამბლის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება გამოიყენებოდა არამართლზომიერად, რის გამოც ბიუჯეტში არ მიემართებოდა ამ ფართის სარგებლობისგან მიღებული შემოსავლები.

³² ქ. თბილისში, უზნაძის N68-ში მდებარე 228,49 კვ.მ.

³³ 2021 წლის 1 ოქტომბრის შეთანხმება.

³⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 11 მარტის N12 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის - „აფხაზეთის“ დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 5.

³⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

2.3.3 კულტურის სააგენტოს აქტივების მართვის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით,³⁶ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება; აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან.

ფაქტობრივი გარემოება: კულტურის სააგენტოს სარგებლობაში არსებული ფართიდან³⁷ სააგენტო იყენებდა მხოლოდ ფართის ნაწილს³⁸ თავისუფალი ჭიდაობისა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ვარჯიშების ჩასატარებლად. ფართის უმეტესი ნაწილი (81%) არის უფუნქციო, ვინაიდან საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, თუმცა ამ დროისათვის სააგენტომ ვერ უზრუნველყო ფართის სრულად გამოყენების მიზნით საჭირო სარემონტო სამუშაოების განხორციელება. ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს არ აქვს დანერგილი კონკრეტული და ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ფართის მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრული მიზნით სარგებლობის/გამოყენების კონტროლს. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ვერ იღებს სათანადო რწმუნებას ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ.

სააგენტოს სარგებლობაში არსებულ ფართს³⁹ – სარეპეტიციოდ, ინვენტარის შესანახად და საოფისედ იყენებდა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“, რომელიც ფუნქციონირებდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სააგენტო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გასცემდა შრომის ანაზღაურებას ამ ანსამბლის ხელმძღვანელსა და პედაგოგებზე, ასევე მათთვის გადაცემული იყო აქტივები და უძრავი ქონება. როგორც გაირკვა,⁴⁰ ანსამბლში ირიცხებოდა მხოლოდ 9 მოსწავლე, შესაბამისად, მხოლოდ მათ მეცადინეობას არ უნდა დასჭირვებოდა 178.12 კვ.მ ფართი. ასევე სააგენტოს მიერ არ დანერგილა კონკრეტული/ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ფართის მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრული მიზნით სარგებლობის/გამოყენების კონტროლს. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ვერ იღებს სათანადო რწმუნებას ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენების თაობაზე, რის გამოც, არასაკმარისი კონტროლის პირობებში იქმნება სააგენტოს ბალანსზე რიცხული ფართის არარაციონალურად გამოყენების რისკები.

სააგენტოს სარგებლობაში არსებული კიდევ ერთი ფართი⁴¹ წარმოადგენდა ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეას, რომელიც მოწყობილი იყო ღონისძიებებისა და გამოფენების გასამართავად, თუმცა აუდიტის პერიოდში ის გამოიყენებოდა მხოლოდ სააგენტოს მიერ და აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტრუქტურების თხოვნით, მათთვის უსასყიდლოდ დათმობით. კერძოდ, 2020 წელს ჩატარდა მხოლოდ ერთი ღონისძიება, ხოლო 2021 წელს, ჯამში – 47 ღონისძიება.⁴² მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად აუდიტირებული ორი წლის უმეტეს პერიოდში ფართი იყო გამოუყენებელი, სააგენტოს არ განუხორციელებია

³⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პირველი პუნქტი, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

³⁷ ქ. თბილისიში, დაბა წყნეთი, ზონა „გ“, მაია წყნეთელის II ჩიხის N2-ში მდებარე 793 კვ.მ.

³⁸ 150 კვ.მ.

³⁹ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N76ბ-ში მდებარე 178.12 კვ.მ.

⁴⁰ მოწოდებული ინფორმაციით.

⁴¹ ქ. თბილისში, უზნაძის N68-ში მდებარე 173.42 კვ.მ.

⁴² მათ შორის, 24 სააგენტოს და 23 სხვა სტრუქტურის მიერ.

შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები მისი იჯარით გაცემისა და შესაბამისი შემოსავლების მიღების მიზნით.

სააგენტოს სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი,⁴³ რომლის საბალანსო ღირებულებაა 4,323,856.00 ლარი, სააგენტოს უზუფრუქტით გადაეცა მისი მოთხოვნის საფუძველზე, დონორების დაფინანსებით სპორტკომპლექსის აშენების მიზნით. მიუხედავად ამისა, სააგენტოს მიერ არ არის შემუშავებული განსახორციელებელი მიზნის პროექტი და არც დაფინანსების გამცემი დონორია მოძიებული. სააგენტოს შემუშავებული აქვს მხოლოდ თავისი ხედვა სპორტკომპლექსის შესახებ, რომელიც წარედგინა მაკონტროლებელს და ეთხოვა მისი შემდგომი განხილვა. თუმცა აღნიშნული ხედვა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, არ განუხილავს არც სააგენტოს მაკონტროლებელს და არც სხვა ზემდგომი უწყებას. შესაბამისად, 8,1 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, როგორც სააგენტოს, ასევე მაკონტროლებლის მიერ, არასაკმარისი ღონისძიებებია გატარებული და არ ხდება მისი რაციონალურად განკარგვა.

დასკვნა

კულტურის სააგენტოს მიერ არასაკმარისი ღონისძიებების გატარებისა და არასათანადო კონტროლის პირობებში, სააგენტოს ბალანსზე რიცხული, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გამოიყენება არარაციონალურად.

2.4 საკუთარი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სსიპ-ების შესახებ კანონით,⁴⁴ ხელმძღვანელს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ ქონებასა და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე.

ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით,⁴⁵ შიდა კონტროლის სისტემა არის დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა და რომლის ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებელი არიან დაწესებულების ხელმძღვანელები.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის პერიოდში განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ები გარდა ბიუჯეტის დაფინანსებისა, ასევე იღებდნენ საკუთარ შემოსავლებს კონცერტების/სპექტაკლების ბილეთებისა და აბონემენტების რეალიზაციით, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ღონისძიების ჩატარებიდან და უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული თანხებით. აღნიშნული შემოსავლების შესწავლით გამოვლინდა, რომ მათ მიერ მიღებული შემოსავლების წილი მთლიან ხარჯებში 2020-2021 წლებში შესაბამისად, ერთ და 4 პროცენტს შეადგენს (იხ. ცხრილი N3).

⁴³ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 81,372 კვ.მ ფართი.

⁴⁴ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 5.

⁴⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „ე“ ქვეპუნქტი და მუხლი 5, პირველი პუნქტი.

ცხრილი N 3. შემოსავლების თანაფარდობა ხარჯებთან

ორგანიზაცია	შემოსავლები		ხარჯები		შემოსავლები/ხარჯები (%)	
	2020	2021	2020	2021	2020	2021
სსიპ - აფხაზეთის ა/რ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	970	806	486,805	640,282	0%	0%
სსიპ - სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“	4,005	16,845	343,331	359,454	1%	5%
სსიპ - სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრი	3,002	10,980	439,228	452,119	1%	2%
სსიპ - აფხაზეთის სახელმწიფო გუნდი კაპელა	3,000	25,675	271,568	316,657	1%	8%
სსიპ - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი	3,300	35,818	386,711	562,517	1%	6%
საშუალო					1%	4%

აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ 2020-2021 წლებში სსიპ-ების სარგებლობაში იყო უმრავი ქონება (იხ. ცხრილი N4), რომლებიც არ იყო დატვირთული სრულად და შესაძლებელი იყო მოსარგებლის მიერ მათი იჯარით ან სხვა კანონით დაშვებული ფორმით გაცემა (საათობრივად, დღიურად ან სხვა). შესაბამისად, სსიპ-ებს გააჩნდათ საბიუჯეტო რესურსები, თუმცა შემოსავლების მიღების მიზნით ეს რესურსები არ გამოუყენებიათ. შედეგად, სსიპ-ებმა დაკარგეს პოტენციური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, რაც ქონების არაპროდუქტიულად და არაეფექტიანად განკარგვის რისკებზე მიუთითებს.

ასევე: სსიპ-ების მიერ ჩატარებული კონცერტებისა და სპექტაკლების ფარგლებში, გაყიდული ბილეთების/აბონემენტებისა და ღონისძიების ერთჯერადად ჩასატარებლად გაფორმებული ხელშეკრულებების, ღირებულების განსაზღვრის მიზნით, არ იყო შემუშავებული შესაბამისი წესი,⁴⁶ რის გამოც ხელმძღვანელობის მხრიდან ფასების დადგენის პროცესის არასათანადო კონტროლის პირობებში წარმოიქმნება პოტენციური შემოსავლების მიუღებლობის რისკები.

ცხრილი N 4. უმრავი ქონება, რომელთა გამოყენება შესაძლებელია შემოსავლების მიღების მიზნით

მოსარგებლე	მისამართი	ფართობი კვ.მ	საბალანსო ღირებულება (ლარი)	იჯარიდან მიღებული შემოსავლები	
				2020	2021
სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N768 (ნაკვ. 39/20)	178	135,553	-	-
სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	173	16,654	-	-
სსიპ – სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	635	552,685	-	500
სსიპ – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	228	21,670	-	-
სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	144	17,888	-	-

დასკვნა

სსიპ-ების მიერ 2020-2021 წლებში მიღებული შემოსავლების დაბალი მაჩვენებლები, მათ მიერ არასათანადოდ დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებებისა და არასაკმარისი კონტროლის მექანიზმების შედეგია, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკებზე მიუთითებს.

⁴⁶ სადაც გაწერილი იქნებოდა როგორც კონკურენტების მიერ ბაზრისთვის შეთავაზებული ფასების შესწავლის მეთოდი, ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფსა თუ ორგანიზაციაზე სავარაუდო ფასების დიაპაზონი, მათ შორის, შეღავათებისა და სპეციფიკური ფასების დადგენის შემთხვევები.

რეკომენდაცია N2
ყველა ორგანიზაციას
(აუდიტის ობიექტს)

დაიგეგმოს უძრავი ქონების განკარგვა იმგვარად, რომ მოხდეს საბიუჯეტო რესურსების სრულად, ეფექტიანად გამოყენება და პოტენციური შემოსავლების მიღება. შემუშავდეს და დაინერგოს კონცერტების/სპექტაკლების გასაყიდი ბილეთების/აბონემენტებისა და ღონისძიების ერთჯერადად ჩატარების/მონაწილეობის ღირებულების განსაზღვრის წესი, სადაც გაწერილი იქნება, როგორც კონკურენტების მიერ ბაზრისთვის შეთავაზებული ფასების შესწავლის მეთოდი, ასევე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფსა თუ ორგანიზაციაზე სავარაუდო ფასების დიაპაზონი.

2.5 პროგრამული ხარჯები
2.5.1 პროგრამების /
ქვეპროგრამების დაგეგმვაში
არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: პროგრამული მეთოდოლოგიით,⁴⁷ პროგრამა წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში, ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია შესაბამისი წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი. პროგრამების გამოკვეთის შემდეგ აუცილებელია მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად, ანუ ქვეპროგრამებად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეყოლება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული ერთი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია და იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში აუცილებელია თითოეული ქვეპროგრამა იყოს აღწერილი, ასევე – განსაზღვრული მიზანი და დაფინანსების მოცულობა.

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტოს მიერ აუდიტის პერიოდში ხორციელდებოდა პროექტები, რომლებიც მტკიცდებოდა სააგენტოს დირექტორის ბრძანებით. მიუხედავად იმისა, რომ პროექტების სახით დაფინანსების განხორციელებას მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს და მოქმედი კანონმდებლობით, პროექტების მიზნების გათვალისწინებით, აღნიშნული პროექტები წარმოადგენდა სუბსიდირების შინაარსის პროგრამებს/ქვეპროგრამებს, სააგენტოში 2021 წლის აპრილამდე არ იყო შექმნილი შესაბამისი პროგრამები/ქვეპროგრამები და პროექტების ხარჯების დაფინანსება ხორციელდებოდა სააგენტოს აპარატის პროგრამული კოდიდან, რომელიც შინაარსის მიხედვით წარმოადგენს მართვის და რეგულირების სახის პროგრამას. შესაბამისად, სააგენტოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, პროგრამების/ქვეპროგრამები არ აუსახავს 2020 წლის აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

აღნიშნული პროექტების შესწავლით გამოვლინდა, რომ არ იყო შემუშავებული დამტკიცებულ პროექტებში დაგეგმილი ღონისძიებები და ამ ღონისძიებების შედეგად მიღებული შედეგის შეფასების კრიტერიუმები, რის გამოც აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დგინდება, ჯამში – 113,397 ლარის ხარჯის ეფექტიანობა.

დასკვნა

პროგრამების/ქვეპროგრამების/პროექტების დაგეგმვა-დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ არასათანადოდ განხორციელებული კონტროლის

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N3, პუნქტები 2.5.1 და 2.5.2 პუნქტები.

2.5.2 პროგრამების / ქვეპროგრამების ინდიკატორებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ღონისძიებების პირობებში, შეიქმნა 113,397 ლარის საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკები.

კრიტერიუმი: პროგრამული მეთოდოლოგიით,⁴⁸ შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

1. სასარგებლო – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას.
2. შედეგზე ორიენტირებული – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას.
3. ნათელი და გაზომვადი – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება.
4. შესაბამისი და მიღწევადი – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით, ზედმეტად პესიმისტური შეფასება.
5. შედარებითი – უნდა იძლეოდეს მიღწეული შედეგების შეფასების შესაძლებლობას დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს: რაოდენობრივი, ხარჯზე მიბმული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

ფაქტობრივი გარემოება: კულტურის სააგენტოს 2021 წლის ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგები ხშირ შემთხვევაში არის ძალიან ზოგადი და არ არის გაზომვადი; ასევე არ არის სათანადოდ გაწერილი მოსალოდნელი შედეგების მიღწევის შეფასების ინდიკატორები, რაც საშუალებას მოგვცემდა გაგვეზომა, რა დონეზეა მიღწეული ქვეპროგრამით დასახული მიზნები (იხ. დანართი N3), მაგალითად:

- 1) ქვეპროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ – მოსალოდნელ შედეგებს შორის გაწერილია: სათეატრო ხელოვნების განვითარება და რეპერტუარის ახალი სპექტაკლებით გამდიდრება, ახალგაზრდა ხელოვნების პოტენციალის გამოვლენა, მოტივაციის ამაღლება და სათეატრო სივრცის შევსება ახალი წარმოდგენებით, ხოლო შეფასების ინდიკატორებად განსაზღვრულია მხოლოდ შემოტანილი განაცხადების ოდენობა და განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა;
- 2) ქვეპროგრამა „საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის“ – მოსალოდნელ შედეგებს შორის გაწერილია: საახალწლო ზეიმში აქტიური მონაწილეობა დადებითად აისახება მათ სულიერ განწყობაზე, საზეიმო ელფერს შემატებს მათ ცხოვრებას, განუმტკიცებს მომავლისადმი იმედს, ხოლო შეფასების ინდიკატორებად განსაზღვრულია მხოლოდ მონაწილე ბავშვების რაოდენობა;
- 3) ქვეპროგრამა „ევროპული არდადეგები“ – მოსალოდნელ შედეგებს შორის გაწერილია: თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა, პროექტის ინტეგრირება, როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ-

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება N 385 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, 2.7 მარეგულირებელი ნორმები, 3.1 პროგრამული ბიუჯეტის დანართი, შესრულების შეფასების ინდიკატორები.

შემეცნებითი კომპონენტებით, ხოლო შეფასების ინდიკატორებად განსაზღვრულია მხოლოდ ღონისძიებებისა და მონაწილე ბავშვების რაოდენობა.

დასკვნა

ვინაიდან ზემოაღნიშნულ ქვეპროგრამებში დასახული მოსალოდნელი შედეგები არის ზოგადი ხასიათის, ხოლო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ არის მოსალოდნელი შედეგის შესაბამისი და შედეგზე ორიენტირებული, შესაბამისად, შეუძლებელია სააგენტოს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამებით დასახული მიზნების მიღწევის შეფასება.

2.5.3 პროგრამების / ქვეპროგრამების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: პროგრამული მეთოდოლოგიით,⁴⁹ პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს.

ფაქტობრივი გარემოება: კულტურის სააგენტოს პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების შესწავლით გამოვლინდა:

- 1) ქვეპროგრამა „სამშენებლო ხელოვნება“ 2021 წელს არ განხორციელდა და, შესაბამისად, ვერ იქნა ათვისებული დაგეგმილი 6,000 ლარის საბიუჯეტო სახსრები. ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ქვეპროგრამის შეუსრულებლობა გამოიწვია COVID-19-ის პანდემიამ, თუმცა ზოგადი ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნულის შესახებ ქვეპროგრამის დაგეგმვის/დამტკიცების ეტაპზეც ცნობილი უნდა ყოფილიყო პროგრამის განმახორციელებლებისთვის;
- 2) ქვეპროგრამა „ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა“ დაგეგმილი ბიუჯეტით – 8,000 ლარი, 2021 წელს არ განხორციელდა, რადგან სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დაინტერესება არ გამოხატეს პოტენციურმა ბენეფიციარებმა. თუმცა ფაქტობრივი შესწავლით დადგინდა, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში კომისიური გადაწყვეტილებით⁵⁰ დაფინანსდა ერთი განმცხადებელი. შესაბამისად, სააგენტოს მიერ სათანადოდ არ იყო შესწავლილი პოტენციური ბენეფიციარები და მათი შესაძლო დაინტერესების სფეროები;
- 3) ქვეპროგრამის – „აფხაზეთის სპორტული ტურნირების“ ფარგლებში 2021 წელს ვერ იქნა ათვისებული 8,372 ლარი. როგორც დადგინდა, აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეპროგრამით განსაზღვრული ერთ-ერთი ტურნირი (მინი-ფეხბურთში) უნდა გამართულიყო აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის, მაგრამ მისი ჩატარება COVID-19-ის პანდემიის პირობებში ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეპროგრამის ფარგლებში პანდემია დაფიქსირებული იყო პროგრამის შეუსრულებლობის რისკად, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა ვერ გათვალისწინეს აღნიშნული გარემოება.

დასკვნა

გამოვლენილი ფაქტები მიუთითებს ქვეპროგრამების დაგეგმვის პროცესში პოტენციური ბენეფიციარებისა და მათი მოთხოვნების არასათანადოდ შესწავლაზე, რამაც გამოიწვია პროგრამული ბიუჯეტით განსაზღვრული რესურსების არასრულად/არაეფექტიანად გამოყენება. პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების

⁴⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება N 385 „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, 2.7 მარეგულირებელი ნორმები, 3.1 პროგრამული ბიუჯეტის დანართი, შუალედური და საბოლოო შედეგები.

⁵⁰ კომისიის 2021 წლის 6 ივლისის სხდომის ოქმი N10.

არასათანადო კონტროლის პირობებში იქმნება პროგრამების/ქვეპროგრამების არაეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების რისკები.

რეკომენდაცია N3 კულტურის სააგენტოს

განხორციელდეს პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის მოთხოვნების დაცვით დაგეგმვა და მათი შინაარსი (მათ შორის, კრიტერიუმები) დამტკიცდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბენეფიციარებისათვის გამჭვირვალე და სამართლიანი გარემო. პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის განისაზღვროს სასარგებლო, შედეგზე ორიენტირებული, ნათელი, გაზომვადი, მიღწევადი და შედარებითი შეფასების ინდიკატორები, ხოლო პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში შექმნილი კომისიისათვის, შესაბამისი საქმიანობის წესით განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები ან/და მიდგომები, რომელთა საფუძველზე კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს; დადგენილი მექანიზმების ეფექტიანად მუშაობის უზრუნველსაყოფად, დაინერგოს სათანადო კონტროლი.

2.6 ორგანიზაციულ საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სსიპ-ების შესახებ კანონით,⁵¹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით) და ამ პირის წესდებით (დებულებით). საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

ფაქტობრივი გარემოება: გამსახურდიას თეატრისა და თეატრ „თეთრი ტალღის“ დებულებებით⁵² განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ორგანიზაციების მიერ ფაქტობრივად საკმარისი ღონისძიებები არ იყო განხორციელებული „საქართველოს თეატრალური ხელოვნების მსოფლიო კულტურულ სივრცეში გაერთიანების“ მიზნის მისაღწევად.

2020 წელს გამსახურდიას თეატრს სპექტაკლები არ ჩაუტარებია, ხოლო 2021 წელს ჩაატარა მხოლოდ 4 სპექტაკლი. 2020 წელს თეატრმა „თეთრმა ტალღამ“ ჩაატარა მხოლოდ 6 სპექტაკლი, ხოლო 2021 წელს – 19 სპექტაკლი. მოწოდებული ინფორმაციებით, ზემოაღნიშნული განპირობებული იყო ქვეყანაში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით,⁵³ საქართველოში მოქმედ თითოეულ პროფესიულ თეატრს უნდა ჩაეტარებინა 2020 წელს საშუალოდ – 19, ხოლო 2021 წელს საშუალოდ – 34 სპექტაკლი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ყველა პროფესიულ თეატრს შეეხო თანაბრად, გამსახურდიას თეატრის და თეატრ „თეთრი ტალღის“ მიერ ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო მონაცემებს.

⁵¹ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“, მუხლი 10, პირველი და მე-3 პუნქტები.

⁵² აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის N302/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დებულების დამტკიცების შესახებ“. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2014 წლის 31 მარტის N91/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრ - „თეთრი ტალღის“ დებულების დამტკიცების შესახებ“.

⁵³ 2020 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა ჯამში - 975 სპექტაკლი, ხოლო 2021 წელს – 1,787 სპექტაკლი.

ანსამბლ აფხაზეთის დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად არ იყო საკმარისი ღონისძიებები ჩატარებული, მაგალითად: „საკონცერტო საქმიანობის განხორციელება, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ“.⁵⁴ აღნიშნული მიზნის მისაღწევად, იმ პერიოდში ქვეყნის გარეთ კონცერტები არ ტარდებოდა.

საგუნდო კაპელის დებულებით განსაზღვრული შემდეგი მიზნების მისაღწევად: „თანამედროვე ქართული და აფხაზური მუსიკალური შემოქმედების სტიმულირება“ და „მართვის ისეთი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ დებულებით დასახული მიზნების მიღწევას“,⁵⁵ ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად არ იყო საკმარისი ღონისძიებები განხორციელებული.

რიგ შემთხვევებში კულტურის სააგენტოს დებულებით⁵⁶ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად არ იყო განხორციელებული საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები, კერძოდ: 9 შემთხვევაში განხორციელებული საქმიანობა მნიშვნელოვნად შეესაბამებოდა განსაზღვრულ მიზნებს, 12 შემთხვევაში – ნაწილობრივ შეესაბამებოდა და 2 შემთხვევაში – არ შეესაბამებოდა (იხ. დანართი N3).

ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს 2020 წელს არ ჰქონდა პროგრამები და მხოლოდ ერთი პროგრამული კოდით ახორციელებდა სხვადასხვა სახის⁵⁷ დაფინანსებებსა და ღონისძიებებს, პროექტების სახით, ხოლო 2021 წელს სააგენტოში შეიქმნა ორი პროგრამა და მათში შემავალი 11 ქვეპროგრამა, რომელთა შინაარსისა და მიზნების შესწავლით გამოვლინდა, რომ ორივე პროგრამა იდენტური შინაარსით არსებობდა სამინისტროში 2021 წლამდე, ხოლო სააგენტოს ქვეპროგრამების უმრავლესობა (73%), ასევე ემთხვევა სამინისტროში მანამდე არსებულ ქვეპროგრამებს (იხ. ცხრილი N4). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამები და ქვეპროგრამები გაუქმდა სამინისტროში,⁵⁸ ამ პროგრამების განმახორციელებელი სამსახურები⁵⁹ კვლავ ფუნქციონირებდა სამინისტროში და ამასთანავე, სააგენტოში შექმნილი იდენტური პროგრამებისათვის სააგენტოში იქმნებოდა ახალი სამმართველოები.⁶⁰ შესაბამისად, ფიქსირდება სააგენტოსა და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების დუბლირების შემთხვევები და ასევე სააგენტოს პროექტების ფარგლებში შექმნილ კომისიებში სამინისტროს წარმომადგენლების ჩართულობა.⁶¹ შედეგად, თუ 2020 წლამდე სამინისტროში დასაქმებული 13 ადამიანი ასრულებდა ზემოაღნიშნულ ორ პროგრამას, 2020 წელს იდენტური საქმის განხორციელებისათვის სამინისტროსა და სააგენტოში ერთობლივად დასაქმებული იყო 19 ადამიანი, ხოლო 2021 წელს – 18 ადამიანი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამების სამინისტროდან სააგენტოში

⁵⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 11 მარტის N12 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთის“ დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2, „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N27 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის ჩამოყალიბების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 2, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

⁵⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

⁵⁷ კულტურისა და სპორტის მიმართულებით.

⁵⁸ 2020 წელს 7 ქვეპროგრამა და 2021 წელს კიდევ 7 ქვეპროგრამა.

⁵⁹ ორივე სამსახურში 2020 წელს ჯამში დასაქმებული იყო 13 ადამიანი, 2021 წელს აღნიშნული ორი სამსახური გაერთიანდა ერთ სამსახურად და დასაქმებული იყო 8 ადამიანი.

⁶⁰ ორივე სამმართველოში ჯამში დასაქმებული 2020 წელს - 6 ადამიანი, 2021 წელს - 10 ადამიანი.

⁶¹ ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტროს წარმომადგენლების ჩართულობა საჭირო იყო სააგენტოს ახალი თანამშრომლებისათვის სამინისტროს გამოცდილების გაზიარებისა და დახმარებისათვის.

გადატანის გადაწყვეტილების შედეგად ფიქსირდება საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

ცხრილი N 5. სააგენტოში შექმნილი და სამინისტროში გაუქმებული პროგრამები/ქვეპროგრამები

პროგრამული კოდი	დასახელება	განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული
სააგენტო		
06 27 02	აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა	კულტურის სამმართველო
06 27 03	სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა	სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო
სამინისტრო		
06 07	„კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა“	ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური
06 08	„სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა“	სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

დასკვნა

გამოვლენილი ფაქტები მიუთითებს ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მხრიდან მისთვის დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად შესრულების მიზნით არასაკმარისი ღონისძიებების გატარებასა და არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობაზე, რაც წარმოქმნის საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვისა და საზოგადოებისათვის მისაღები სარგებლის დაკარგვის რისკებს.

2.7 კონტროლის გარემოს ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით,⁶² შიდა კონტროლის სისტემა არის დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა, და რომლის ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებელი არიან დაწესებულების ხელმძღვანელები. თითოეული დაწესებულება შესაბამისი კანონებისა და ინსტრუქციის მიხედვით შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას.⁶³

ფაქტობრივი გარემოება: გამსახურდიას თეატრის, თეატრ „თეთრი ტალღის“, ანსამბლ „აფხაზეთის“, საგუნდო კაპელის და კულტურის სააგენტოს კონტროლის გარემოს შესწავლით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

-)/ არ ხდებოდა არსებული რისკების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც უნდა დანერგილიყო შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;
-)/ არ იყო დადგენილი (დოკუმენტურად დამტკიცებული) და დანერგილი კონტროლის მეთოდები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფდა საბიუჯეტო სახსრების მართლზომიერად და რაციონალურად ხარჯვას, ადმინისტრაციული პროცესების სწორად მართვას, პროგრამების ფარგლებში სამართლიანი, გამჭვირვალე და თანაბარი პირობების შექმნას;
-)/ არ იყო დამტკიცებული სტრატეგიული და საოპერაციო მიზნები, რომელიც განსაზღვრავდა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს.

⁶² საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, მუხლი 2, „ე“ ქვეპუნქტი და მუხლი 5, პუნქტი 1.

⁶³ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილება „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

) არ იყო დანერგილი თანამშრომელთა ქცევის კოდექსი, რომელიც დაარეგულირებდა თანამშრომელთა სამსახურში ქცევის წესებს და უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების ხარჯების რაციონალურ ხარჯვას.

დასკვნა

ორგანიზაციების კონტროლის გარემო გამოირჩეოდა ნაკლოვანებებით და მხოლოდ პრაქტიკაში დამკვიდრებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფდა შეცდომებისა და უზუსტობების ეფექტიანად თავიდან აცილებას/პრევენციას ან გამოვლენას და გასწორებას. კონტროლის პროცედურების ფორმალური ინსტრუქციების (სახელმძღვანელო, კოდექსი, წესი) არარსებობა მიუთითებდა ორგანიზაციების საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების⁶⁴ შეუსაბამოდ და საჯარო რესურსების არაეფექტიანად მართვის რისკებზე. ხოლო არაფორმალიზებული კონტროლის პროცედურები ვერ უზრუნველყოფდა საჯარო რესურსების არაეფექტიანად მართვის რისკების პრევენციას. შესაბამისად, ორგანიზაციებში არსებული კონტროლის გარემო იყო არადადამაკმაყოფილებელი.

რეკომენდაცია N4 ყველა ორგანიზაციას (აუდიტის ობიექტს)

განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საქმიანობის დაგეგმვა განხორციელდეს დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმით იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით გამოწვეული საქმიანობის შემზღუდველი სავარაუდო რისკები. გაუთვალისწინებელი მოვლენების დადგომის შემთხვევაში, ორგანიზაციების მიერ განხორციელდეს წლიური გეგმის კორექტირება მიმდინარე გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანას.

მიმდინარე პროცესებში არსებული რისკების შემცირების მიზნით, შემუშავდეს ისეთი კონტროლის პოლიტიკა, პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს ეფექტიან კონტროლს და ხელს შეუწყობს საჯარო რესურსების კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, არამიზანშეწონილად ხარჯვისა და არაეფექტიანად მართვის დროულ გამოვლენასა და პრევენციას.


აუდიტორები

ხელმოწერა

ეთერ კაცაძე
უფროსი აუდიტორი

მიხეილ გოდოლაძე
უფროსი აუდიტორი

ნინო ბრეგვაძე
აუდიტორი



⁶⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „ე“ ქვეპუნქტი.

დანართები

დანართი N1.

ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება

ორგანიზაცია	მისამართი	ფართობი	საბალანსო ღირებულება (ლარი)	გამოყენების მდგომარეობა 2020-2021 წლებში
სსიპ - სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	მე-6 სართულზე 279,38 კვ.მ	452,295.00	ადმინისტრაციული საქმიანობისთვის და სარეპეტიციო ფართი
სსიპ - სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	მე-2 სართულზე 601.21 კვ.მ და ანტრესოლი - 33.6	552,684.50	თეატრის დარბაზი, სადაც ტარდება სპექტაკლები. ასევე სხვა სტრუქტურების მომართვის საფუძველზე ხდება დარბაზის მათთვის უსასყიდლოდ დათმობა
სსიპ - სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	21.06 კვ.მ ავტოფარეხი	3,381.00	ბილეთების სალაროს მოწყობის მიზნით არის გადმოცემული, მაგრამ არ არის გაცემებული
სსიპ - სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი თეთრი ტალღა	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	33.13 კვ.მ	3,144.09	ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
სსიპ - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	228.49 კვ.მ	21,670.45	I სართული - მოცეკვავეთა სარეპეტიციო დარბაზი, II სართული - მომღერლების და მუსიკოსების სარეპეტიციო და ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
სსიპ - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“	ქ. თბილისი, გოთუას ქ. N14 ბ	2,700.00 კვ.მ	—	გადმოცემიდან არ გამოყენებულა
სსიპ - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“	ქ. თბილისი, გოთუას ქ. N14 ბ	965.02 კვ.მ	—	გადმოცემის შემდეგ არ გამოყენებულა
სსიპ - გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	144.05 კვ.მ	17,887.50	I სართული - მომღერლების სარეპეტიციო დარბაზი, II სართული - მომღერლების სარეპეტიციო და ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	თბილისი, დაბა წყნეთი, ზონა „გ“, მაია წყნეთელის II ჩიხის N2	II სართულზე არსებული 793.4 კვ.მ	386,148.00	დევენილი ახალგაზრდების საწვრთნელ-სავარჯიშო დარბაზი (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობისთვის)
სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N76ბ (ნაკვ. 39/20)	IV სართული 178.12 კვ.მ და მასზე ნაწილობრივ დამაგრებული მიწის ნაკვეთი	135,552.50	სააგენტოს გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლ „გუმბათის“ სარეპეტიციო
სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	შენიშნა მე-5 სართული 32.86 კვ.მ	3,170.67	ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	შენიშნა მე-5 სართული - 32.56 კვ.მ	3,157.78	ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	შენიშნა მე-5 სართული - 17.75 კვ.მ	1,764.82	ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
სსიპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	შენიშნა მე-2 სართული - 17.20 კვ.მ	1,659.64	ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის

სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	შენიშვნა მე-3 სართული - 17.28 კვ.მ	32,691.16	ოთახი ადმინისტრაციული საქმიანობისათვის
სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68	შენიშვნა პირველი სართული - დარბაზი 173.42 კვ.მ	16,654.22	ვალერი არქანას სახელობის არტ-გალერეა, რომელიც გამოიყენებოდა გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად; ასევე სხვა სტრუქტურების მომართვის საფუძველზე ხდება დარბაზის მათთვის უსასყიდლოდ დათმობა
სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	თბილისი, სამგორის რაიონი	81,702 კვ.მ	4,323,856.00	მიწის ნაკვეთი განკუთვნილია სპორტკომპლექსის ასაშენებლად. 2021 წელს არ განხორციელებულა მიწის მისაღწევად საკმარისი ღონისძიებები

დანართი N2.

სსიპ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები

კოდი	ქვეპროგრამა	შუალედური მოსალოდნელი შედეგი	შეფასების ინდიკატორი
06 27 02 01	სამეცნიერო-ხელოვნება	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს სათვალვე ხელოვნების განვითარებისა და რეპერტუარის ახალი სპექტაკლებით გამდიდრებას; ახალგაზრდა ხელოვანების პოტენციალის გამოვლენას, მოტივაციის ამაღლებასა და სათვალვე სივრცის შევსებას ახალი წარმოდგენებით.	შემოტანილი განაცხადების ოდენობა, განხორციელებული ღონისძიების რაოდენობა.
06 27 02 02	საიუბილეო და შემოქმედებითი ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები	ქვეპროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება აფხაზეთის ღვაწლმოსილი ადამიანების საიუბილეო თარიღები. გაიმართება შემოქმედებითი საღამოები, გამოფენები, განხორციელდება ინიცირებული სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები.	შემოტანილი განაცხადების ოდენობა, განხორციელებული ღონისძიების რაოდენობა.
06 27 02 03	ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა	სახელოვნებო სფეროს კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა ფესტივალებისა და კონკურსების ჩატარების გზით.	შემოტანილი განაცხადების ოდენობა, განხორციელებული ღონისძიების რაოდენობა.
06 27 02 04	ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა	შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობით გახორციელებული ღონისძიებები.	შემოტანილი განაცხადების ოდენობა, განხორციელებული ღონისძიების რაოდენობა.
06 27 02 05	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცემული ახალი მრავალფეროვანი ლიტერატურა აფხაზეთის შესახებ.	შემოტანილი განაცხადის რაოდენობა, სააგენტოს მიერ ინიცირებული პროექტები, განხორციელებული პროექტები.
06 27 02 06	„მე, აფხაზეთისთვის“	პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდება აფხაზეთიდან დევნილთა წარმატებული და საინტერესო ადამიანების და მათი ისტორიების პოპულარიზაცია, ამაღლება შერჩეულ გმირთა მოტივაცია, გაიზარდება შთაბეჭდილებებით ნაზიარებ ადამიანთა რიცხვი. ტელევიზიებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით გაშუქდება აფხაზეთიდან დევნილ შერჩეულ გმირთა წარდგენა, შედეგად დაიმსახურებენ საზოგადოების ფართო წრის პატივისცემას და მხარდაჭერას.	საინტერესო ისტორიის მქონე აფხაზეთიდან დევნილის შერჩევა, ღონისძიებაზე დამსწრე სტუმარი.
06 27 02 07	საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის	საახალწლო ზეიმში აქტიური მონაწილეობა დადებითად აისახება მათ სულიერ განწყობაზე, საზეიმო ელფერს შემატებს მათ ცხოვრებას, განუმტკიცებს მომავლისადმი იმედს.	ბავშვების რაოდენობა.
06 27 03 01	სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა	ქვეპროგრამით უზრუნველყოფილი, ინიცირებული სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები. აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების მხარდაჭერა, სპორტული კვალიფიკაციის ამაღლება, დევნილი ახალგაზრდების სხვადასხვა სახეობის სპორტულ გუნდებსა და კლუბებში ჩაბმა, სპორტსმენთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის რეგიონალურ და საერთაშორისო ასპარეზობებში, ტურნირებსა და ჩემპიონატებში.	შემოსული განაცხადების რაოდენობა, განხორციელებული პროექტების რაოდენობა.

06 27 03 02	აფხაზეთის სპორტული ტურნირები	გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენების გამოვლენა. აფხაზეთის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, სხვადასხვა სახეობასა და ასაკობრივ ჯგუფში. საქართველოს ჩემპიონატისათვის მომზადება, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა. აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობა ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად. ახალგაზრდების დაინტერესება სპორტის სხვადასხვა სახეობით, მათი ჩამოშორება ქუჩის მანკიერი გავლენისაგან, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.	ტურნირებში მონაწილეთა რაოდენობა, ჩატარებული ტურნირების რაოდენობა.
06 27 03 03	წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა-დაჯილდოება	საზოგადოებამ და პრეზენტაციულ მოსულმა სტუმრებმა დაინახონ სპორტსმენებისა და სპორტის მესვეურთა ნამოღვაწარი, მომავალმა თაობებმა პატივი მიაგონ მათ ღვაწლს. პოპულარიზაცია გაეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას საქართველოში. პოპულარიზაცია გაეწევა აფხაზეთის სპორტის ტრადიციულ სახეობებსა და აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ მუშაკებს, წარმატებულ სპორტსმენებს, პერსპექტიულ ახალგაზრდებს. სტიმული მიეცემა აფხაზეთის სპორტის ტრადიციული სახეობების მწვრთნელებს, აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ მუშაკებს და წარმატებულ სპორტსმენებს.	საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენა, საუკეთესო სპორტის მუშაკების გამოვლენა, სააგენტოს რჩეული სპორტსმენი, ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობა.
06 27 03 04	„ევროპული არდადეგები“	თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა, პროექტის ინტეგრირება, როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ-შემეცნებითი კომპონენტებით.	ღონისძიებების რაოდენობა, მონაწილე ბავშვების რაოდენობა.

დანართი N3.

სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დებულებით განსაზღვრული მიზნების/ამოცანების შესრულება

დებულებით განსაზღვრული მიზნები/ამოცანები	ფაქტობრივად განხორციელებული საქმიანობა		მიზნის შესრულების შეფასება (მიზნების/ამოცანების და განხორციელებული საქმიანობის შინაარსობრივი ანალიზი/შედეგები)
	2020 წელი	2021 წელი	
ა) ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარების ხელშეწყობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ;	პროექტები: „აფხაზეთობა 2020; „შემოქმედებითი ზაფხული“; „მე აფხაზეთისთვის“.	ქვეპროგრამის - „საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები“ ფარგლებში: ა) სემინარი თემაზე „აფხაზეთის კულტურული საკითხების გაშუქება სატელევიზიო სივრცეში“.	ნაწილობრივ შესაბამეა
ბ) შემოქმედებითი, სანახაობითი და სხვა შინაარსის ღონისძიებების ორგანიზება;	პროექტები: „აფხაზეთობა 2020“; „შემოქმედებითი ზაფხული“; „მე აფხაზეთისთვის“; „კულტურული მემკვიდრეობის კვალდაკვალ“; „სიყვარულით, თქვენთვის“.	„მოდა საზღვრებს გარეშე; „შემოქმედებითი ზაფხული“; „სიყვარულით, თქვენთვის“; „მე აფხაზეთისთვის“; „სახალწლო ზეიმი“. ქვეპროგრამის „საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები“ ფარგლებში: ბ) დამოუკიდებლობის დღე თბილისი მოლში; გ) ძმები გრიშების „ბრემნული მუსიკოსების“ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში.	ნაწილობრივ შესაბამეა
გ) სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგამოფენების მოწყობა, სახელოვნებო ფესტივალებისა და კონკურსების ორგანიზება;	პროექტი „შემოქმედებითი ზაფხული“; ღონისძიება - სამხატვრო მასტერკლასები.	ქვეპროგრამა „ფერწერა აფხაზეთიდან“ ქვეპროგრამა „შემოქმედებითი ზაფხული“.	მნიშვნელოვნად შესაბამეა

დ) ქართულ-აფხაზური კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შორის დიალოგის, ურთიერთანხმობისა და თანამშრომლობის მხარდაჭერა;		ქვეპროგრამის „საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები“ ფარგლებში; დ) საქართველოს სახალხო არტისტის - გიორგი რატიანის 85 წლის იუბილე; ე) ვიხსენებთ ჯანო ჯანელიძეს;	2020 წელს საქმიანობა არ განხორციელებულა, ხოლო 2021 წელს - არ შეესაბამება
ე) ლიტერატურული ნაწარმოებების პრეზენტაცია-განხილვები, თემატური საზოგადოებრივ პოლიტიკური გამოფენებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა;	ჟუნალ „რიწის“ პრეზენტაცია; ჟურნალ „იალქნის“ პრეზენტაცია; წიგნის - „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ პრეზენტაცია.	ჟუნალ „რიწის“ პრეზენტაცია; ჟურნალ „იალქნის“ პრეზენტაცია;	ნაწილობრივ შეესაბამება
ვ) საგამომცემლო საქმიანობის განხორციელება;	გამოიცა წიგნები: შ. ხეცურიანის „მხოლოდ რაც მახსოვს; ნატო მარშანის „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ და ჟურნალი „მიჯნა“; ნ. ქარდავას „ტიფლისის აფხაზი გუბერნატორი“. გამოიცა ჟურნალები „რიწა“ და „იალქანი“.	ქვეპროგრამა „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა ფარგლებში: ვ) შორენა ლებანიძე - „მანანა ანუა-ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“, თურქულ ენაზე; თ) წიგნი „ღირსასხოვარი“ ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ; ზ) ავთანდილ შენგელიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფერწერულ ნამუშევართა კატალოგის გამოცემა; თ) მერაბ (ფიფო) ფიფიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფერწერულ ნამუშევართა კატალოგის გამოცემა; ი) საბავშვო წიგნი „ბედურების ბაღი“; კ) გრაფიკული ნოველა სახელწოდებით „6200“; ჟურნალები „რიწა“ და „იალქანი“.	მნიშვნელოვნად შეესაბამება
ზ) აფხაზეთის ახალგაზრდების კულტურულ-შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა;	პროექტები: „აფხაზეთობა 2020“; „შემოქმედებითი ზაფხული“; „მე აფხაზეთისთვის“; „კულტურული მემკვიდრეობის კვალდაკვალ“.		ნაწილობრივ შეესაბამება
თ) ლიტერატურულ-მხატვრული აუდიო-ვიდეო ნაწარმოებების გამოცემა და გავრცელება;	ვიდეორგოლი „აფხაზეთი“; აუდიო დისკი სიმღერა - „სიყვარულის ნავს დავაბრუნებთ უკან სახლში“.	ქვეპროგრამის - „საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები“ ფარგლებში: ლ) აფხაზეთის თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის (პროზა, პოეზია) კრებული აუდიო წიგნების სახით. ანსამბლ „გუმბათის“ მიერ 6 სიმღერის სტუდიური ჩაწერა CD დისკზე.	მნიშვნელოვნად შეესაბამება
ი) შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ წარმოჩენა;	პროექტი „შემოქმედებითი ზაფხული“.	„შემოქმედებითი ზაფხული“; „ფერწერა აფხაზეთიდან“ ქვეპროგრამის - „კულტურის ინიციატივები“ ფარგლებში: მ) პროექტი „გონების მეგზური“; ნ) „ქსოვილის ახალი სიცოცხლე“; ო) ანბანით მოხატული ახალი წელი.	მნიშვნელოვნად შეესაბამება
კ) აფხაზეთის შემოქმედებითი წრეების შიდა და საერთაშორისო ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;	ანსამბლ „გუმბათის“ მონაწილეობა არტგენის ფესტივალზე.	ქვეპროგრამის - „საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები“ ფარგლებში: პ) „კლასიკური მუსიკის კონცერტი“; რ) საშუალო კონცერტი „ერთიანი საქართველო“.	ნაწილობრივ შეესაბამება

ლ) ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და ამ მიზნით ტრენინგ-სემინარების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების მოწყობა;	პროექტი „ევროპული არდადეგები“.	ქვეპროგრამა „ევროპული არდადეგები“.	ნაწილობრივ შეესაბამება
მ) სპორტის მიმართულებით საერთაშორისო და შიდა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა ფოტო, მხატვრული, დოკუმენტური, აუდიო-ვიდეო მასალების მომზადება და სხვა;		ქვეპროგრამა „სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში - ევროპის ჩემპიონატზე „ძალისმიერ სამჭიდში, სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებსა და ძალისმიერ სპორტში“ უკრაინის ქ. ლუცკში დევნილი სპორტცმენების, გიორგი ჯანაშიას და ნიკოლოზ პერტაიას დაფინანსება.	2020 წელს საქმიანობა არ განხორციელებულა, ხოლო 2021 წელს - ნაწილობრივ შეესაბამება
ნ) ახალგაზრდა პერსპექტულ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა, ძირითადი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის პოტენციური რეზერვების გამოვლენა;	„აფხაზეთის სპორტული ტურნირები“; სასწავლო-სამწვრთნელო მუშაობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში (თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, კალათბურთი, ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა)	ქვეპროგრამა „აფხაზეთის სპორტული ტურნირები“; ქვეპროგრამა „სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში - აფხაზეთის ომში დაღუპული ცნობილი კალათბურთელის, იური ძიძიგურის სახ. ტურნირის ჩატარება; „აფხაზეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით“ კაჭრეთის ამბასადორში საცხენოსნო შეჯიბრის გამართვა; ტურნირზე აფხაზეთის ძიუდოს აკადემიისთვის კიშანოს შეძენა.	მნიშვნელოვნად შეესაბამება
ო) ოლიმპიური თამაშებისათვის, საქართველოს, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებზე და პირველობებზე მოზარდების, კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებებისათვის კანდიდატების მომზადება და სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდის, ზოგადად სპორტისა და სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა;	სასწავლო-სამწვრთნელო მუშაობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში (თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, კალათბურთი, ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა)	სასწავლო-სამწვრთნელო მუშაობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში (თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); ქვეპროგრამა „სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში: „აფხაზეთის ღია ტურნირი ფარიკაობაში აფხაზეთის თასი“ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის; „კოლხი გულრიფში“; საზაფხულო ტურნირი „თბილისი 2021“; საკალათბურთო კლუბი „ცხუმ აფხაზეთი“ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში „სუპერლიგა“ ასპარეზობა.	ნაწილობრივ შეესაბამება
პ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული, მეთოდური და სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარება;	პროექტი "ნორჩი ფეხბურთელების საზაფხულო სკოლა"; "სუფთა გარემო-ჯანსაღი ცხოვრება".	ქვეპროგრამა „ნორჩი ფეხბურთელების საზაფხულო სკოლა“; „სუფთა გარემო-ჯანსაღი ცხოვრება“; ქვეპროგრამა „სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ - ფარგლებში, „დინამო სოხუმი“ - ქალთა და ვაჟთა გუნდების კვების დაფინანსება	მნიშვნელოვნად შეესაბამება
ჟ) სკოლისგარეშე ინდივიდუალური და ჯგუფური სასწავლო-საწვრთნელო-სააღმზრდელო და თეორიული მეცადინეობების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება, მონაწილეობა ქვეყნის შიდა და საერთაშორისო შეჯიბრებებში, სამატჩო შეხვედრებში, პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;	სასწავლო-სამწვრთნელო მუშაობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში (თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, კალათბურთი, ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა)	სასწავლო-სამწვრთნელო მუშაობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში (თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში ტურნირი მაგიდის ჩონგბურთში "უზნის ჩემპიონატი"; სპორტული ღონისძიება "სპორტი გვაჯანსაღებს".	მნიშვნელოვნად შეესაბამება

რ) ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატების, პირველობების და ოლიმპიური თამაშების ვიდეო და აუდიოჩანაწერების გარჩევა და სხვა სასწავლო-საწვრთნო-საადმინისტრაციო პროცესებთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური საქმიანობა;		ქვეპროგრამა „სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“.	2020 წელს საქმიანობა არ განხორციელებულა, ხოლო 2021 წელს - მნიშვნელოვნად შეესაბამება
ს) შიდა და საერთაშორისო პროექტებში აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა და ამ მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმოება, გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების, კონკურსების ორგანიზება;	პროექტი „ევროპული არდადეგები“; „სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება“.	ქვეპროგრამა „ევროპული არდადეგები“; „სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება“.	მნიშვნელოვნად შეესაბამება
ტ) აფხაზეთის ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის, მათი პოტენციალის რეალიზებისა და საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;	პროექტი „ევროპული არდადეგები“	ქვეპროგრამა „ევროპული არდადეგები“; ქვეპროგრამა „სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“; წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა-დაჯილდოება“.	ნაწილობრივ შეესაბამება
უ) ახალგაზრდებისთვის აქტუალურ მიმართულებათა შესაბამისად (გენდერული თანასწორობა, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, მოქალაქეობრივი თვითშეგნება/პასუხისმგებლობა და სხვა), ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა;	პროექტი „ევროპული არდადეგები“	ქვეპროგრამა „ევროპული არდადეგები“.	ნაწილობრივ შეესაბამება
ფ) ისეთი ღონისძიებების, პროექტებისა და აქტივობების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ კავშირებს (ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ) შორის ერთობლივი ინტერესების წარმოჩენის ურთიერთობების განვითარებას;	სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება, პროექტი „ევროპული არდადეგები“, „ნორჩი ფეხბურთელების საზაფხულო სკოლა“	სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება, პროექტი „ევროპული არდადეგები“, „ნორჩი ფეხბურთელების საზაფხულო სკოლა“.	ნაწილობრივ შეესაბამება
ქ) აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა და ამ მიზნით სხვადასხვა მიმართულების პროექტების განხორციელება;			არ შეესაბამება
ღ) ახალგაზრდებში მოხალისეობისა და ტოლერანტობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის მიზნით პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა.	პროექტი "ევროპული არდადეგები"	ქვეპროგრამა "ევროპული არდადეგები";	ნაწილობრივ შეესაბამება

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38